



ქუქური მეტრეველი



გაზაქათი  
Джавахети

კ. მეტრეველი





თმოგვის ციხე-ქალაქი. IX-X სს.  
Город-крепость Тмогви. IX-X вв.

UDC(შპკ) 94(479.22)  
8-596

რედაქტორი:  
**ვახტანგ გურული**  
ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტი:  
**მერაბ ბერიძე**  
ფილოლოგიურ მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

თარგმანი:  
**ქეთევან ჯაყელი**

კომპიუტერული დიზაინი:  
**ზაზა ასანიშვილი**

ფოტო:  
**კუკური მეტრეველი**

გამომცემლობა  
შპს „ფანომან გრუპი“

kartula@ymail.com / ტელ: +995 32 604092

თბილისი 2010 Тбилиси

ISBN 978-9941-0-3008-6

### რედაქტორისგან

საქართველოს ერთ-ერთი ძირძველი ისტორიული კუთხის – ჯავახეთის – შესახებ ქართველმა მეცნიერებმა არაერთი საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნეს. ამ გამოკვლევებში მაღალმეცნიერულ დონეზეა წარმოდგენილი ჯავახეთის წარსულისა და თანამედროვეობის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი. წინამდებარე ნაშრომი – კუკური მეტრეველის „ჯავახეთი“ დაწერილია არსებულ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით. ნაშრომის მნიშვნელობას ჩვენ იმაში ვხედავთ, რომ იგი სამშობლოს ისტორიით დაინტერესებულ მკითხველს, სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანს, შესაძლებლობას მისცემს გაეცნოს ჯავახეთის ისტორიას, შეიქმნას ობიექტური მეცნიერული წარმოდგენა ისეთ საკითხებზე, რომელთა ცოდნა აუცილებელია ყველა ქართველისათვის. კუკური მეტრეველის ნაშრომიდან გამოსჭვივის ავტორის პოზიცია: სამშობლოს ისტორიას დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. თუ შენი სამშობლოს ისტორია არ გიყვარს, მას ვერც დაიცავ და ვერც გაუფრთხილდები. ვიმედოვნებ, ნაშრომს ინტერესით შეხვდება მკითხველი.

**ვახტანგ გურული,**  
ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

### От редактора

О древнейшем и исконно грузинском уголке Грузии – Джавахети грузинские исследователи опубликовали не одно интересное исследование. В этих трудах на высшем научном уровне представлены многие значительные проблемы истории и современности Джавахети. Нижепредставленное исследование Кукури Метревели – «Джавахети» написано на основе существующих источников и научной литературы. Значение этого труда нам видится в том, что он даст возможность, заинтересованному историей своей родины читателю, людям разного возраста и профессий, ознакомиться с историей Джавахети, создать объективное научное представление о таких вопросах, знание которых обязательно для каждого грузина. Из труда Кукури Метревели вырисовывается позиция: история родины нуждается в защите и хранении. Если не любишь историю своей родины, то не сможешь не защищать и не хранить ее.

Надеюсь, что читатель с интересом примет этот труд.

**Вахтанг Гурული,**  
Доктор исторических наук,  
профессор



## წინასიტყვაობა

## ПРЕДИСЛОВИЕ

სამშობლოზე ძვირფასი განა რა აქვს ადამიანს?! არც არაფერი. ამიტომ სჭირდება მას თავისი ჩინივით გაფრთხილება დაცვა და პატრონობა. ადამიანი მხოლოდ მაშინაა სამშობლოსათვის თავდადებული, როცა უყვარს იგი. რომ გიყვარდეს უნდა იცნობდე მას. სამშობლო „განა მარტო ღამაში მთებია?!“.

ღვთისშობლის წილხვედრი საქართველოს მიწა ჩვენი სახელოვანი წინაპრების ოფლითა და ჯაფით ნაფერები, უთვალავ თავდაცვით ომებში დაღვრილი სისხლით გაპოხილი ქართული მიწაწყლის ნაწილია, რომლის არცერთი გოჯი სხვისი არ არის და არც დათმობა.

საქართველოს ყველა კუთხე განუმეორებელია თავისი ბუნებით, მოსახლე ხალხით, ისტორიით და ადათ-წესებით. ყველა მათგანი დედა საქართველოს მაცოცხლებელი ნაკადულია და რომელიმე მათგანის გარეშე საქართველო უკვე არასრულყოფილია. ამ ყველაფერს მოფერება და გაფრთხილება სჭირდება. ჩვენი ქვეყნის სახელოვანი წარსულის მისი ყველა კუთხის ისტორიის და ქვეყნის მთლიანობისათვის თითოეული მათგანის მნიშვნელობის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია მათი სათანადო მოვლა - პატრონობა.

ჯავახეთი თავისი მდებარეობით და ისტორიული თავაგადასაველებით მესხეთთან ერთად საქართველოს ერთერთი მნიშვნელოვანი ისტორიული კუთხეა, რომლის ისტორია ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილისათვის ნაკლებადაა ცნობილი, ხოლო არაქართველი მოსახლეობისათვის დამხინჯებული სახითაა მიწვდილი. ქართულ სმეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ კარგადაა გარკვეული ჯავახეთის ისტორიის საკითხები, მაგრამ პოპულარული სახით ამ ისტორიის ფართო მკითხველისთვის მიწოდება ვფიქრობთ მეტად საშუაო საქმეა.

Что у человека дороже родины?! Ведь и вправду - ничего! По-этому нужно ее оберегать как зеницу ока, нужно охранять и защищать. Человека только тогда можно считать мучеником за свою родину, когда он любит ее. Чтобы любить, надо ее знать. Родина ведь «не только красивые горы?!»...

Удел Пресвятой Богородицы, приласканная потом и трудом наших предков наша земля является частью насыщенной во многих самооборонных боях кровью земли грузинской, ни один ее вершок не является чужим и нельзя уступить никому.

Все уголки Грузии неповторимые своей природой, населением, историей и традициями. Каждый из них является живительным источником для матери родины, - Грузия неполноценна без каждого из них. Все это нужно беречь и остерегать. Без знания славного прошлого нашей страны, истории и значения каждого из её уголков для целостности страны, невообразимо хранить и оберегать её подобающе.

Джаваheti своим месторасположением и историческими приключениями, вместе с Месхети, является одним из значительных исторических уголков Грузии, история которой для большинства наших сограждан малоизвестна, а для негрузинского населения вообще подается в искаженном виде. В грузинской научной литературе достаточно хорошо расследованы вопросы истории Джавахети, но популярным языком объяснить ее широкому кругу читателей, согласитесь, весьма завидное дело.

Я, как родившийся и выросший в Джавахети грузин, безгранично влюбленный в свой уголок, конечно не могу сложа руки смотреть, как искажают



# ქვეყნი

## ДЖАВАХЕТИ

მე როგორც ჯავახეთში დაბადებულ და გაზრდილ, საკუთარ კუთხეზე უსაზღვროდ შეყვარებულ ქართველს, არ ძალმიძს გულხელ დაკრეფილი ვუცქირო თუ როგორ ხდება ჯავახეთის ჭეშმარიტი ისტორიის და თავად ჯავახის ეთნოსის გაყვალბება და უძველესი ქართული იტორიული ძეგლების ხელყოფა. ძალიანაც, რომ გინდოდეს ვერ აცდები იმ აღვირახსნილ პროპაგანდას ჯავახეთთან დაკავშირებით, რასაც ადგილი აქვს ზოგიერთ სომხურ ბეჭდვით გამოცემებში და ელექტრონული მედიის საშუალებებში, განსაკუთრებით ინტერნეტ-სივრცეში. მათი „მუშაობა“ არ წყდება ძირითადად ორი მიმართულებით: პირველ რიგში ეცდებიან ჯერ სომეხი ხალხი და საკუთრივ ჯავახეთში მრავლად მცხოვრები თავიანთი თანამემამულენი დაარწმუნონ იმაში, რომ ვითომდაც ჯავახეთი ისტორიული სომხეთის ნაწილია და რომ ისინი თავიანთ ისტორიულად კუთვნილ მიწაწვეალზე ცხოვრობენ და მეორეს მხრივ მთელი მსოფლიოს გასაგონად ჯავახეთს ყოფილ სომხურ პროვინციად „ჯავახქ“-ად წარმოაჩენენ, რომელიც ვითომდაც საქართველოს აქვს მიტაცებული. არ უნდა გვეგონოს, რომ ეს მათი „საემაწვილო სენია“ და არ დირს ყურადღების მიქცევა, მაშინ როცა ქართველებს უკვე გვაქვს ამისი უამრავი მწარე გამოცდილება თუნდაც უახლესი ისტორიის მაგალითზე. ასე ამტკიცეს, რომ სხვისია წმინდა ქართული ქალაქები

истинную историю Джавахети и понятие Джаваха, как этноса, а также как глумятся над грузинскими историческими памятниками. Если даже очень постараться, все равно не обойдешь стороной эту необузданную пропаганду, связанную с Джавахети, которая имеет место в некоторых армянских печатных изданиях и в средствах электронной меди, особенно, в интернет-пространстве. Их «работа» не кончается и в основном развивается по двум направлениям: в первую очередь, стараются убедить, сперва армянский народ и, в частности, живущих в большом количестве в Джавахети своих сограждан в том, что якобы Джавахети часть исторической Армении и что они живут на своей собственной, исторически принадлежащей, земле и во-вторых, вовсе услышание всего мира представляют Джавахети как армянскую провинцию - «Джаваха», которую якобы прихватила Грузия. Мы не должны это считать их возрастным заболеванием на которое не следуем обратить внимание, тогда как у грузин уже имеется большой и горький опыт, хотя бы на примере ближайшей истории. Так утверждали же, что истинно грузинские города Сухуми и Цхинвали чужие, и, вот ведь, отняли!..

სოხუმი და ცხინვალი და აკი წაგგვლოჯეს კიდევ. ვმითობთ ამ პროპაგანდას აქაც იგივე მიზნები აქვს.

ვიცი, როცა ამას ვწერ, ბევრი ჩემი სომეხი მეგობრის გულის სიმებს ვეხები და ეს მე სულაც არ მახარებს, მაგრამ რა ვქნათ, როცა მათი ზოგიერთი უღირსი თანამემამულე ჩვენს გულის სიმებს და ჩვენთვის ყველაზე ძვირფასს ასე ურცხვად ეხება?!

ეთნიკური სიმრავლე არ შეიძლება იყოს ისტორიული კუთხის კუთვნილების განმსაზღვრელი. ამან ჩვენ ორ მოქმე ქრისტიან ერს შორის მეგობრობას სერიოზული ბზარი შეიძლება გაუჩინოს, ამიტომ საჭიროა ყველა ვიცნობდეთ და პატივს გცემდეთ ჯავახეთის რეალურ ისტორიას.

დღემდე ჯავახეთის სომხურ მოსახლეობას ეყო სიბრძნე და წინდახედულობა და არ წამოეგო პროვიკაციებს. ჩვენი სურვილია ჯავახეთის რეალური ისტორიის შესხენებით ჩვენს ჯავახ და სომეხ თანამემამულეებს გაეუადვილოთ ისტორიული ავბედობის გამო მრავალტანჯულ ჯავახეთის მიწაწვეალზე ურთიერთგაგება და მშვიდობიანი თანაცხოვრება.

მე მჯერა, მხოლოდ სიმართლის თქმით და არა პირფერობით გადავარჩენთ ჩვენს საუკუნოვან მეგობრობას.

Думаем, эта пропаганда здесь имеет такие же цели и намерения.

Знаю, когда я пишу об этом, касаюсь струн сердец многих моих армянских друзей и это меня совсем не радует, но что поделать, когда некоторые из их нечестных соотечественников так бесстыдно касаются струн наших сердец и самого нам дорогого?!

Этническое большинство не может быть определителем принадлежности к историческому краю страны. Это может создать серьезную трещину в дружбе между двумя христианскими народами, поэтому необходимо, чтобы все знали и уважали реальную историю Джавахети.

До сегодняшнего дня армянскому населению Джавахети хватило мудрости и дальновидности, чтобы не поддаваться на провокации. Наше желание, напоминанием реальной истории Джавахети, облегчить совместное проживание и взаимопонимание нашим армянским соотечественникам и коренным джавахам на многострадальной земле Джавахети.

Я верю, что только правдой, а не лестью спасем нашу вековую дружбу.



# ჯავახეთი

„მე ჯავახეთს რა მიშავდა  
მთვარე მედგა მზესავითა,  
კალმახი და ქერის პური  
წინ მეყარა ბზესავითა“.

(ხალხური)

ჯავახეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, სრულიად გამორჩეული ლანდშაფტისა და რელიეფის მქონე კუთხეა. გრანდიოზული მთებითა და ქედებით შემოსაზღვრული ზეგანი, ღრმა კანიონები, კამკამა ტბები და მდინარეები, ხასხასა მდელოები, გაუვალი ჭალები, მოშიშველებული მთის კალთები, მზესავით ნათელი მთვარე

# ДЖАВАХЕТИ

*Чего мне в Джавахети не хватало?!  
Луна, как солнце мне улыбалась  
фарель и ячменя лепешки  
плодилось, как самшит  
умножалось.*

(народное)  
перевод Кети Джакели

Джаваheti один из древнейших и совершенно отличающийся своим ландшафтом и рельефом уголок Грузии. Окруженное грандиозными горами и хребтами нагорье, глубочайшие каньоны, кристально прозрачные озера и реки, зеленеющие поля, непроходимые рощи, оголенные склоны гор, светящая, как солнце

სალამოს ტბა  
Озеро Сагамо



და ვარსკვლავებით დასუნილული ცა, ჯანსაღი ჰავა და კლიმატი, ამ კუთხეში ქართველთა დიდების უტყუარი მოწმე ისტორიული ძეგლების სიუხვე და მრავალფეროვნება ხიბლავს და აოცებს ნებისმიერ მნახველს. დღევანდელი ჯავახეთის ტერიტორია ძირითადად მთიანი ზეგანია, უმეტესად უტყეო, მრავალი ტბებითა და მდინარეებით დაფარული. ადრე ჯავახეთის დიდ ნაწილს ტყეებით, ძირითადად, ფიჭვნარით და არყნარით ყოფილა დაფარული (გვხვდება ადგილების დასახელებები: არყნარი, ფიჭვნარი, ლეკნარი, დათვის სოროები), მაგრამ ცალკე მიწათმოქმედობის განვითარება და ცალკე დამკვრობთა მიერ ხელოვნურად გადაწვამ კატასტროფულად შეამცირა ჯავახეთის ტყის საფარი, – დღეისათვის მხოლოდ ჭობარეთის მთის ჩრდილო- დასავლეთით და სამ-

луна, усыпанное звездами небо, здоровый воздух и климат, невероятное количество и разнообразие культурных памятников, истинных свидетелей славного прошлого здешних грузин, удивляет и вызывает восторг всех и каждого. Сегодняшняя территория Джавахети это в основном безлесное гористое нагорье, покрытое многочисленными озерами и реками. Раньше большая часть Джавахети была покрыта лесами, в основном сосновыми и березовыми (встречаются названия: березовая, сосновая, лекнари, медвежьи берлоги), но, то по причине развития земледелия, то из-за постоянных нашествий неприятеля, который превращал в пепел здешние леса и поля, ката-

# ქვეყნი

## ДЖАВАХЕТИ



სრის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაკრძალის სახით შემორჩენილი. მიუხედავად ტყის ნაკლებობისა მდიდარია ჯავახეთის ფლორა და ფაუნა. ჯავახეთს კავკასიის „პაერთ და წყლით მდიდარ გრილ კუნძულსაც“ კი უწოდებენ.

ჯავახეთის ალპურ მდელოებზე ქართული ფუტკრის მიერ ნაგროვები უნიკალური სურნელების თაფლი საქვეყნოდაა ცნობილი. ჯავახეთის ნაყოფიერ მიწებზე მოწეული ადგილობრივი ენდემური ჯიშის ხორბლის სიუხვის გამო ჯავახეთს „საქართველოს ბელელსაც“ უწოდებდნენ. ჭარბ ხორბალს დღემდე მრავლად შემორჩენილ მიწისქვეშა ორმოებში (ხარობში) ინახავდნენ. ცნობილია ასეთი გამოთქმა: როცა ქვეყანა შიმშილობდა ეტყოდნენ - „წადით ხორბალი მურჯახეთში თუ არა მურჯში მაინც ექნებათ“ (მურჯიც და მურჯახეთიც ჯავახეთის ტოპონიმებია).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჯავახეთის საზაფხულო საძოვრების მნიშვნელობა აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეობა-მეცხვარეობის არსებობისთვის. ეს კუთხე იმდენად აუცილებელია ამისათვის, რომ მაშინაც კი როდესაც ის ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის შემადგენლობაში შედიოდა საქონლის პატრონები, განსაკუთრებით, მეცხვარეები ზაფხულობით იძულებით გადადიოდნენ სხვა სახელმწიფოში და იქ აბაღახებდნენ თავიანთ საქონელს. დღესაც, ისე როგორც საუკუნეების განმავლობაში, აღმოსავლეთ საქართველოს მესაქონლეები თავიანთ პირუტყვს თვეობით თრიალეთისა და ჯავახეთის საზაფხულო ნოყიერ ალპურ საძოვრებზე აბაღახებენ.

საქართველოს დღევანდელი რეგიონალური დაყოფის მიხედვით ჯავახეთი სამცხე-ჯავახეთის რეგიონ-

სტოფიკესი უმცირესი ლესნოი პოკროვ ჯავახეთი. ნა სეგოდნია ონ სოხრანენ ვიდე ჯაპოვედნიკა თოლკო თა სევერო-ჯაპადე ჩობარეთი და სევერო-ვოსთე ხრებთა სამსარე. ნესმორენა თო, ჩო ლესა ჯდესე ვსტრეჩაიუსე რედკო, ვსე რავნო ფლორა და ფაუნა ჯავახეთი ოჩენე ბოგათა. ჯავახეთი ნაზივაიუსე «ბოგათიმ ვოზდუხომ და ვოდოი, პროხლადნიმ ოსტროვმ კავკაზა».


Всемирно известный, отличающийся уникальными свойствами и благоуханием мёд, накопленный грузинскими пчелами на альпийских лугах Джавахети. Из-за изобилия зерна от местных эндемных пород, собранного на плодотворных землях Джавахети, этот край называли зернохранилищем Грузии. Избыточное зерно хранили в сохранившихся до сегодняшнего дня во многих местах подземных ямах (Харо). Известно такое изречение: когда страна голодала, поговаривали: «идите, ищите зерно в Мурджахети, если там не будет, то в Мурджи будет обязательно (и Мурджи и Мурджахети являются топонимами Джавахети).

Следует особенно отметить значение летних пастбищ Джавахети для развития животноводства-овцеводства восточной Грузии. Этот край настолько важен для этой отрасли, что даже тогда, когда оно в виде Ахалцихского пашаликства входило в состав Османской империи, владельцы скота, особенно овцеводы, летом вынуждены были перейти в чужое государство и там пасти стада. Скотоводы восточной Грузии и сегодня, также как и на протяжении веков, летом пасут свой скот на обильных альпийских пастбищах Триалети и Джавхети.

ში შედის და მოიცავს: ახალქალაქის, ნინოწმინდის, ნაწილობრივ ასპინძის და ბორჯომის რაიონების ტერიტორიებს.

ისტორიულად ჯავახეთი სამხრეთი საქართველოს გაცილებით ვრცელ

По сегодняшнему региональному делению **Джавახети входит в регион Самцхе-Джавახети** и объемлет территории: **Ахалкалаки, Ниноцминда, частично Аспиндзы и Боржоме.**




ტერიტორიას მოიცავდა და საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის სამხრეთის კარიბჭეს წარმოადგენდა.

„ესე არს ჯავახეთი. და არიან ამ ტბებთა და მდინარეთა ზედა დაბნეები და მოსახლენი. ხოლო ზღვრის ჯავახეთს: აღმოსავლეთით საზღვარი ქართლისა. ...სამხრით, მთაი ნიალის-ყურისა, რომელი მდებარეობს გულის ტბიდან ანუ ხაკეთიდან ყარსის მთამდე ანუ ფოსოს წყაროს-თავამდე, - აღმოსავლეთიდან დასავლეთად... ხოლო დასავლეთით მზღვრის ჯავახეთს - ძველად მტკვარი და აწ ნიჯგორს-ხერთვისს ზეითი და წყაროს-თავის დასავლეთ წარსრული მცირე გორანი;

Исторически, в Джавахети входило гораздо больше территорий и в течение веков этот регион представлял собой южные ворота страны.

«**Это есть Джавахетия. И при этих озерах, и речках находятся селения и (обитают) жители. А граничат с Джавахетию: с востока граница Карталинии, что мы описали, с юга гора Нияликурская, которая тянется от Голис-тбы или Хавети до горы Карсской или до чела Посось-цкаро - от востока къ западу; и гора эта вся безлесна, но сь травую тростникомъ, цветами и родниками, а стороны Посо и Цкароставская часть**

# ქვეყნის



западу от Цкарось-тави небольшие горы. Съ севера первоначально границу была маленькая гора, спустившаяся съ Кодіанись-мты до Нусхи, и потомъ оттуда прямая линия до Куры, и нынешнею – посюсторонная, отъ Кахтисть-мдинаре, южная небольшая гора, до конца Нижгора и Кодіана. А гора эта Кодіанись-мта лесиста (богата) зверями, реками. Она начинается съ Бакуліана и Чобис-хеви идетъ до Кохтис-тави, потомъ понижается и оканчивается выше Ниджгора у оврага. А Джавахетіа, как и Триалетіа, невиноградна, нефруктова, безлесна, - въ иныхъ местахъ отопливаются кизякомъ, и производительностью (почвы) такая же (как Триалетіа), но более той плодородна и даетъ верный урожай. И климатомъ подобна ей, даже превосходитъ ее. Зима бываетъ съ глубокимъ снегомъ и морозами. Овецъ, рогатого скота и

უმჯობესიცა. ზამთარი, დიდ-თოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლებნი და ჯოგენი მრავალნი. თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მთათა გვარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი. (იხ. ვახუშტი ბატონიშვილი „საქართველოს გეოგრაფია“, I წიგნი, „სამცხე“. ტიფლისი. 1892 წ.გვ.22).

ჯავახეთის ტერიტორია უხსოვარი დროიდან იყო დასახლებული. ამას ადასტურებს აქ აღმოჩენი-


ხოლო ჩრდილოთ პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიანე წარსული მცირე მთა ნუსხამდე და მერმე ხაზი მის გასწვრივ მტკვრამდე, და აწ კოხტის მდინარის აქეთი სამხრის კერძოს მცირე მთა, ნიჯგორის თავამდე და კოდიანამდე. არამედ არს ესე კოდიანის მთა ტყიანი, ნადირიანი, მდინარიანი, რომელი წარმოვალს ბაკულიანიდამ და ჭობის-ხევიდამ და მოვალს კოხტის-თავამდე, მერმე დამდაბლდების და დასწყდების ნიჯგორს ზეით ხრამხედ. ხოლო ჯავახეთი არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწვენ წივასა, და მოსავლითაც ეგრეთვე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მზგავსი, განა



до Куры лесисты, (богаты) зверями, птицею. Съ запада же граничатъ Джавахетію – древняя Кура, а теперешная – Верхъ Ниджгорь-Хертвиси и идушіа къ







# ქვეყნის

ლი პალეოლითის, მეზოლითის და ნეოლითის ძეგლები.

ანტიკურ წყაროებში მოხსენიებულია ქართული პროვინციების სახელები: „ქათარზა“ ანუ კლარჯეთი, „ოდრხე“ (ქალაქი, დღევანდელი დაბა აბასთუმანის ტერიტორიაზე), „ოდრახე“ სამცხის ანუ მესხეთის უძველესი სახელია, „ზაბახა“ კი ჯავახეთის უძველესი სახელია. ესე იგი ჯავახელები უძველესი ქართული ტომის „ზაბახები“-ის შთამომავლები არიან, თუმცა, პავლე ინგოროვსას მოსაზრებით, ჯავახი უძველეს ქართულ სატომო სახელწოდებას – ტაოხს უკავშირდება. ტაოხები დიაოხის (ტაოხს) ძირითად მოსახლეობას შეადგენდნენ და დღევანდელი თურქეთის ჩრდილო აღმოსავლეთის, სამხრეთი საქართველოს, მათ შორის, ჯავახეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ. მისივე აზრით, ტაოხ-ს და ჯავახ-ს შორის შუალედური ფორმა უნდა ყოფილიყო ტაოხ-ი, ჯავახი (იხ. დ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“. 1975. ტ. V)

ურარტუს მეფის, არგიშტ I-ის წარწერაში, რომელიც ძვ. წელთაღრიცხვის 785 წელს განეკუთვნება, დაპყრობილ ქვეყნებად მოხსენიებული კლარჯეთი, სამცხე და ზაბახა ანუ ჯავახეთი დიაოხის (ტაო) ქვეყანას ესაზღვრებოდა და სამხრეთით მტკვრის სათავემდე ვრცელდებოდა. ლეონტი მროველის მიხედვით, ჯავახეთი ლეგენდარულ მამამთავარს, მცხეთოსის ძე – ჯავახოსს ეკუთვნოდა „ქვეყანა ფარავნის ტბიდან მტკვრის სათავემდე“. მასვე აუშენებია ორი ციხე-ქალაქი: წუნდა და ქალაქი არტანისა, იგივე ქაჯთა ქალაქი. იმავე ქვეყანას ფარნავაზის მეფობის დროს (ძვ.წ.ად.

табуновъ множество. Рыбы много. Птиць, которая водятся въ горныхъ (местахъ), множество. Медь въ изобилии». (Записки кавказского отдела императорского русского географического общества. Книжка XXIV, выпуск 5-й. Царевич Вахушти. «Географія Грузіи». Книга I. «Самцхе». Введеніе, переводъ и примечанія М. Г. Джанашвили. Тифлисъ. 1924 г.).

**Территория Джавахети издревле была заселена.** Это доказывают найденные здесь памятники периода палеолита, мезолита и неолита.

В античных источниках сохранены названия грузинских провинций: «**Катарза**» или «Кларджети», «**Одзрхе**» (город, на территории сегодняшнего Абастумани), - «**Одзрхе**» древнейшее название **Самцхе** или же **Месхети**, а «**Забaha**» - древнее название **Джавahети**.

IV-III სს.) მეფის მიერ დანიშნული ერისთავი განაგებდა, რომელიც წუნდაში იჯდა.

ისტორიულად ჯავახეთი ზემო და ქვემო ნაწილებად იყოფოდა: ზემო ჯავახეთი მოიცავდა ჯავახეთს, ფარვანის ტბიდან მტკვრის კანიონამდე (საკუთრივ ჯავახეთის ზეგანს), ხოლო ქვემო ჯავახეთი – მტკვრის კანიონს, ნიალისა და ბუზმარეთის ზეგნებს.

ქვემო ჯავახეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს განსაზღვრავდა მტკვრის შენაკადი მდინარეები და ხეობები, ნიალისა და ბუზმარეთის მთიანი პლატოები, თითოეულ მათგანს თავისი რელიგიური და ადმინისტრაციული ცენტრები გააჩნდათ, მაგრამ ყველა მაინც ემორჩილებოდა წუნდის, შემდგომში კი თმოგვის გამგებელს.



ზემო ჯავახეთი. ტაბაჭურვი  
Верхний Джавахети.  
Табацкури

Таким образом, **Джавахи** являются **потомками древнейшего грузинского племени - «Забaha»**, хотя по мнению Павла Ингороква «**Джавахи**» связан с древнейшим грузинским племенным названием – «**Таох**». Таохи составляли основное население **Диаоха (Тао)** и обитали на северо-востоке современной Турции, южной Грузии, и в том числе на территории Джавахети. (см. Д. Бердзенишвили. «По вопросам исторической географии Джавахети». «Сборник исторической географии Грузии». 1975 г. т. V).

В надписи Царя Урарту **Аргишта I**-го, которая принадлежит 785 г. до н. эры, упомянутые как заваеванные страны **Кларджети, Самцхе и Забaha** т.е. **Джавahети** граничили со страной **Диаоха (Тао)** и распространялись на юг до истока Куры. По **Леонтию Мровели, Джавахети** – «**Страна от озера Параван до истока Куры**» – принадлежала легендарному родоначальнику, отпрыску Мцхетоса – **Джавахосу**. Ему же приписывают возведение двух городов-крепостей: Цунда и Артаани, тот же город Каджов.

Той же страной, во время царствования **Парнаваза (IV –III в.в. до н.э.)**, управлял, назначенный царем **Эристави**, резиденция которого находилась в **Цунде**.

**Джавahети исторически делился на верхнюю и нижнюю части:** в верхнюю часть входил **Джавahети**, от озера **Паравани до каньона Куры** (собственно Джавахетское нагорье), а в нижнюю часть – **каньон Куры, нагорья Ниали и Бузмарети**.

Территориально-административные единицы **Нижнего Джавахети** определяли приточные реки и овраги



# ქვეყნი

ზემო ჯავახეთში კი სადაც გეოგრაფიულად პატარ-პატარა მდინარეების შემკრებ ფუნქციას ღიდი და პატარა მთებით შემოსაზღვრული ტბები ასრულებენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების განმსაზღვრელად ამ ტბათა (საღამოს, ხანჯალის, კარწახის, ფარავანის, ტაბაწურის და სხვ.) ქვაბულებში განლაგებული სოფლებით შექმნილი პატარა ქვეყნები გვევლინებოდნენ.

ქართლის სამეფოში (ძვ. წ. ა III საუკუნე, ახ. წ. აღ. VI საუკუნის 30-იანი წლები) ჯავახეთი, კოლა და არტაანი წუნდის

Куры, горные плато Ниала и Бузмарети, каждый из них имел свой религиозный и административный центр, но все подчинялись владельцу Цунды, а позже – владельцу Тмогви. А в **Верхнем Джавахети**, где географически функцию объединения небольших рек брали на себя окруженные горами озера, определителями территориально-административной единицы являлись невеликие страны, созданные расположенными в каньонах этих озер (Сагамо, Ханджали, Карцахи, Паравани, Табацкури и др.) деревнями.

ისპირამდე ერთ საგამგეო ერთეულს, საერისთავო-ერისთავოს და სამთავროს შეადგენდა...“ (ივ. ჯავახიშვილი, პ. სურგულაძე, პროფ. ა. ლაიხტი „ისტორიული რარიტეტები“. თბ. 1989 წ. გვ.45).


ამ პერიოდში ქართლის მეფეებს სამი რეზიდენცია ჰქონდათ: მცხეთა (საგაზაფხულო და საშემოდგომო), გაჩიანი (საზამთრო) და წუნდა (საზაფხულო).

ძველი ჯავახეთის უმჯიდროეს კავშირზე ქართლის სამეფოსთან მიანიშნებს, აგრეთვე, იბერიის პიტიახშების საკუთარი სახელი – ჯავახ (ზევახ),

составляли историческое **Земо Картли**, т. е. Верхнее Картли.

«...Верхнее Картли, т.е. Месхети, начиная с Самцхе-Джавахети до краев Тао составляло одну управленческую единицу, Саэриставт-эриставо и княжество...» (И. Джавахишвили, П. Сургуладзе, проф. А. Лайст «Исторические раритеты». Тбилиси, 1989 г. стр.45).

В тот период цари Картли имели **три резиденции: Мцхета** (летняя и осенняя), **Гачиани** (зимняя) и **Цунда** (летняя).



ქვემო ჯავახეთი. სოფ. მირაშხანი  
Нижний Джавахети. с. Мирашхани



საერისთავოს სახით შედიოდნენ. წუნდის, ოძრხეს და კლარჯეთის საერისთავო ერთობლიობაში შეადგენდა ისტორიულ ზემო ქართლს.

„ზემო ქართლი, ანუ მესხეთი, სამცხე-ჯავახეთთან მოყოლებული ტაო-

**В государство Картли (III век до н. э., 30-ые годы VI века) Джавахети, Кола и Артаан входили как Цундское Саэриставо (княжество). Цундское, Одзрхевское и Кларджетское Саэриставо (княжество), в целом**

რომელიც II საუკუნის არმაზის წარწერებში სამჯერაა დადასტურებული. როგორც ირკვევა, იბერიულ ჯავახიანთა პიტიახშების შტოს წარმოადგენდნენ თორელთა საგვარეულოს წარმომადგენლებიც, რომელნიც იმ

О теснейших связях Джавахети с Карталинским государством говорит также собственное название иберийских Питиахшов – **Джавах (Зевах)**, которое в надписях Армаза трижды подтверждены. Как выясняется, ветви



# ქვეყნის მატარებელი

ხანად ქართლის საპიტაქოსის ნაწილს ფლობდნენ.

ჯავახეთი – ესაა წმინდა კუთხე საქართველოსი, საიდანაც შემოვიდა წმინდა ნინომ, ფეხით გაიარა გზა ფარვანიდან მცხეთამდე, იქადაგა ქრისტიანული სარწმუნოება და სწორედ მისი მოღვაწეობის შედეგად, მირიან მეფემ, 327 წელს, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. ლეონტი მროველის ცნობით, მირიან მეფის თხოვნით, რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდს საქართველოში მოუვლენია მოციქულნი, რომელთაც უშუალოდ დაუწყვიათ წუნდის ეკლესიის მშენებლობა, სადაც შემდგომ ვახტანგ გორგასალს ჯავახეთის ეპისკოპოსი დაუსვაძს.

ვახტანგ გორგასლის დროს წუნდის (მაშასადამე ჯავახეთის) ერისთავი იყო ნასარი.

VI-VIII საუკუნეებში ჯავახეთი კვლავ ქართლის შემადგენლობაშია. VI საუკუნის საქართველოს ეპისკოპოსთა შორის მოხსენიებული არიან კუმურდოელი ეპისკოპოსი – იოსები და წყაროსთაველი – იოანე. კუმურდო ჯავახეთის მთავარი საეპისკოპოსო მთელი მომდევნო საუკუნეების განმავლობაშიც. აქ დღემდე შემორჩენილია 964 წელს აშენებული კუმურდოს დიდებული ტაძრის ნანგრევები, უამრავი ქართული წარწერებით – ავტ.). ერთი წყაროს მიხედვით, ერისმთავარმა არჩილმა (VIII ს.) საგვარეულო განძეული სწორედ ჯავახეთში გადაამალა („გორ-მაკეზე“, ტონთოს ციხეში).

ისტორიულად, ჯავახეთი განუყრელად იყო დაკავშირებული ძველი საქართველოს წარსულთან და სამცხესთან ერთად უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა ათასი ჯურის (სპარსელების, ბიზანტიელების, არაბების და სხვ.) დამპყრობლების



питиахшов иберийских джавахов представляли и представители фамилий **Торели**, которые в тот период владели частью картлийского питиахшества.

**Джавахети - это святой уголок Грузии**, куда впервые ступила **Святая Нино** и откуда пешком прошла от Паравани до Мцхеты, проповедуя христианскую веру, вследствие чего, **в 327 году царь Мириан объявил христианство государственной религией**. Согласно Леонтию Мровели, римский император Константин Великий, с просьбой царя Мириана, специально в Грузию послал опостолов, которые собственноручно начали строить Цундский монастырь, где в последствии **царь Вахтанг Горгасали** посадил Джавахского епископа.

Во время Вахтанга Горгасали **эриставом Цунды** (т.е. Джавахети) был **Насар**.

წინააღმდეგ საერთო ეროვნულ ბრძოლაში.

ჯავახეთისთვის განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა არაბების შემოსევა 737 წელს, მურვან ყრუს მეთაურობით. ამ დროს გაწედა ადგილობრივი ჯავახი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, გადარჩენილთაგან უდიდესი ნაწილი კი დასავლეთ საქართველოში გადაიხვეწა.

მოგვიანებით, IX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან და ქართლიდან მოსულმა მოსახლეობამ კვლავ შეავსო სამხრეთ საქართველოს დაცლილი ტერიტორიები და დაიწყო მზადება არაბთა წინააღმდეგ საბრძოლველად, რასაც სათავეში უდგნენ ტაო-კლარჯული ბაგრატიონები. არაბთა განდევნისათვის აქტიურად ემზადებოდა ქართლიდან გახიზნილი ერისთავი აშოთ დიდი კუროპლატი, რომელიც მოღალატეებმა ვერაგულად მოკლეს, 826 წელს. არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა ამით მაინც არ შენელებულა, – აშოთის მემკვიდრეთაგან ამ საქმეში განსაკუთრებით გამოირჩინათავი გუარამ მამფალმა, რომელიც მტკვრის ხეობაში შემოვიდა, დაიპყრო ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი, არტაანი და შექმნა ჯავახეთად წოდებული მსხვილი ფეოდალური სამთავრო (იხ. ივ. ჯავახიშვილი).



В VI-VIII веках, Джавахети все еще находится в составе Картли. Среди епископов VI века упоминается епископ Кумурдо – **Иосиф** и **Иоанн** из Цкаростава (Кумурдо является главной епархией во все после-





# ქვეყნის მატარებელი

## ДЖАВАХЕТИ

„ქართველი ერის ისტორია“, ტ. II. თბილისი. 1948 წ. გვ. 115, 342-350, 578).

ჯავახეთი სამეფო ქვეყანად გადაიქცა და შემდგომ საუკუნეებშიც მას მეფის მიერ დანიშნული ერისთავები განაგებდნენ.

პოლიტიკურად დამოუკიდებელ მხარეში მომრავლდა მოსახლეობა, აღსდგა უამრავი სოფლები და ქალაქები, გაცხოველდა ვაჭრობა, აშენდა უამრავი ციხე-სიმაგრე და ეკლესია-მონასტრები, გაშენდა ბაღ-ვენახები, დაიწყო ქვეყნის კულტურული აყვავებაც, გაჩაღდა ლიტერატურული მუშაობა.

„აქ ჩამოყალიბდა ტაო-კლარჯეთის ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული საგანგებო სალიტერატურო სკოლა, რომელმაც შეიმუშავა თავისი საკუთარი გრამატიკა, ენა, ხელი და მიმართულება. ქართველთა შემოქმედებითი ენერგია იმდენად გაიზარდა, რომ გავიდა მცირე აზიის სხვადასხვა პუნქტში“ (კ. კეკელიძე. „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“. ტ. I თბილისი. 1951 წ. გვ. 84).

შემდგომ პერიოდშიც ჯავახეთი სამცხესთან ერთად იყო საქართველოს არა მარტო კულტურული ცენტრი, არამედ პოლიტიკური ძლიერების დასაყრდენიც. ეს ვითარება გაგრძელდა მე-16 საუკუნის ბოლო წლებამდე.

X საუკუნის მეორე ნახევრიდან, ჯავახეთი გადადის ეგრისის სამეფოს გამგებლობაში და მას მართავენ ვარდანისძის გვარის წარმომადგენლები.

წუნდის – როგორც საერისთავოს ცენტრის, დაცემის შემდეგ მისი ფუნქცია გადადის თმოგვის ციხეზე (წყაროებში პირველად X საუკუნეში იხსენიება – ავტ.). იგი გადაიქცა ქვემო ჯავახეთის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-ეკონომიკურ და თავდაცვით ცენტრად, რაშიც მას ხელს უწყობდა იშვიათად



დუიანი. Здесь, поныне сохраниены развалины, построенного в 964 году кумурдского монастыря, с многочисленными грузинскими надписями). По одному источнику, эризмтавар (князь) Арчил (VIII в.) фамильный клад перепрыгнул в Джавахети (на “Гор-маке” в крепости Тонтио).

Исторически Джавахети неотделимо связан с прошлым Грузии и вместе с Самцхе играл значительную роль в общенациональной борьбе и



ხელსაყრელი ბუნებრივი მდებარეობა და მიუდგომელი თავდაცვითი ზღუდეების არსებობა. ჯავახეთის ერისთავი თმოგველად იწოდებოდა.

XI-XIV საუკუნეებში ჯავახეთი იმყოფება ერთიანი საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში. XI საუკუნეში ზემო ჯავახეთის ცენტრად ახალქალაქი გადაიქცა. ციხე-ქალაქის კედლის მშენებლობა დაიწყო მეფე ბაგრატ III-ემ (975-1014 წ.წ.) და დაასრულა ბაგრატ IV-ემ (1027-1072 წ.წ.). კედლის მშენებლობის ორი ეტაპი დასტურდება არქეოლოგიური მასალებითაც. ციხის კარიბჭის თავზე ნაპოვნია წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ბაგრატ IV-ის დედა, დედოფალი მარიაძი. 1085 წელს, თურქ-სელჯუკებმა აღფარსლანის წინამძღოლობით ალყა შემოარტყეს ჯერ კიდევ დაუმთავრებელ ციხე-ქალაქს და, მიუხედავად ადგილობრივთა მედგარი წინააღმდეგობისა, ციხე აიღეს, ქალაქი კი დააქციეს და გაანადგურეს.

при отражении разного рода (персы, византийцы, арабы и т.п.) завоевателей.

Для Джавахети особенно трудным оказалось вторжение арабов, в 737 году, во главе Мурвана-Кру (Глухой Мурван). В это время была истреблена значительная часть местного джавахаского населения, а большая часть, оставшихся в живых, переселилась в Западную Грузию.

Позже, в IX веке, переселившееся из Картли и разных уголков Западной Грузии население опять заполнило опустошенные территории Южной Грузии и началась подготовка к борьбе с арабами, которую возглавляли Тао-Кларджетские Багратионы.

Для изгнания арабов активно готовился бежавший из Картли Ашот (Великий) Куропалат, которого вероломно убили предатели в 826 году. Борьба против арабов этим не прекращается, - из наследников Ашота в этой борьбе особенно проявил себя Гуарам Мампал, который вошел в ущелье Куры, завоевал Джавахети, Триалети, Ташири, Абоци, Артаани и создал называемое Джавахетией крупное княжество. (см. И. Джавахишвили. «История грузинского народа», т. II. Тбилиси, 1948 г. стр. 115, 342-350, 578).

Джавахети превратился в страну со всеми признаками государственности и в последующие века им владели назначенные царем эриставы.

В политически свободном крае население преумножилось, было восстановлено много деревень и городов, ожила торговля, были воздвигнуты крепости, монастыри и церкви, были заложены сады и



# ჭავჭავაძე

იმ დროს, ახალქალაქში იჯდა მეფის დანიშნული მხარის მმართველი – ერისთავი, ქართული ფეოდალური გვარის – თორელების წარმომადგენელი.

შემდგომში, ჯავახეთის ჩრდილო ნაწილი, საუფლისწულოდ გამოცხადდა. თავიდან რეზიდენცია იყო დლივში, მერე ღრტილაში, შემდეგ ბოჟანოში და ალასტანში. ვარძიაში სამეფო სამონასტრო კომპლექსის აშენების შემდეგ სამეფო რეზიდენციამ XII საუკუნის ბოლოს სწორედ ვარძიაში გადაინაცვლა...

ლაშა გიორგი (1207-1222 წწ.), როგორც ჯავახეთის საუფლისწულოს მმართველი, მოხსენიებულია ბარაღეთის ეკლესიის და პრტენის სტელის წარწერებში, აგრეთვე, მონეტაზე: „მეფე გიორგი, თამარის შვილი, ჯავახეთის მმართველი“.



XIII საუკუნეში ჯავახეთი დანარჩენი საქართველოს მსგავსად მონღოლების ხელში აღმოჩნდა.

XIII ს-ის მეორე ნახევარში, „მესხეთის მთავრის განსაკებელი იწყებოდა ბორჯომის ხეობითგან, ტაშისკარითგან და კარნუქალაქამდის აღწევდა...“, მას ეკუთვნოდა ჯავახეთის ნაწილიც. XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, სამცხის მთავარმა და სპასალარმა სარგის ჯაყელმა დიდი პოლიტიკური მოქნილობით მოახერხა, რომ 1266 წლიდან მისი სამთავრო ხასინჯუდ

ოგороды, началось и культурное развитие страны. Началась бурная литературная деятельность. «Здесь образовалась особенная литературная школа, возникшая на национальной тао-кларджетинской почве, которая выработала собственную грамматику, язык, руку (рукописание, каллиграфия – авт.) и направление. Творческая энергия грузин настолько выросла, что вышла в разные пункты Малой Азии». (К. Кекелидзе. «История древне-грузинской литературы». т. I. Тбилиси, 1951 г. стр. 84.).

В последующих периодах Джавахети вместе с Самцхе, был не только культурным центром Грузии, но и опорой политического могущества. Такое положение длилось до конца XVI века.

**Со второй половины X века Джавахети переходит во владение эгрисского государства и им управляют представители фамилии Варданисдзе.**



ახალქალაქის ციხე. X-XI სს.  
Крепость Ахалкалаки. X-XI вв.

(შედარებით პრივილეგირებულ ერთეულად) იქცა და უშუალოდ ყაენის მმართველობას დაექვემდებარა. იმდენად დიდი იყო მაშინ ჯაყელების ძალაუფლება, რომ მათ სშირად ათაბაგებად კი არა „მეფეებადაც“ კი მოიხსენიებდნენ. მონღოლების წაქეზებით დაიწყო სამცხის საერისთავოს თანდათანობით გამოყოფა დანარჩენი საქართველოდან, რომელიც გიორგი ბრწყინვალემ დროებით შეაჩერა, მაგრამ XV საუკუნის II ნახევარში მაინც დასრულდა.

XV საუკუნიდან ჯავახეთს სამცხის მთავრები – ჯაყელები დაეპატრონენ და სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში მოაქციეს. 1511 წლიდან, სამცხის ათაბაგის ხელში გადავიდა, აგრეთვე, ლაზისტანი ანუ ჭანეთი. სამცხის ახალმა გამგებლებმა – ჯაყელებმა ჯავახეთიდან, საკუთარი

После падения Цунды, как центра Саэриставо (княжества), его функция переходит на **Тмогвскую крепость** (в источниках впервые упоминается в X веке). Она превратилась в значительный торгово-экономический и оборонный центр, в чем ей способствовали редкое естественное расположение и существование неприступных оборонительных стен. Джавахетский Эристави именовался Тмогвским.

**В XI-XIV в.в.-ах, Джавахети находится в составе единого Грузинского государства. В XI веке центром верхнего Джавахети стало Ахалкалаки.** Постройку стен города-крепости начал царь **Баграт III** (975-1014 г.г.) и окончил **Баграт IV** (1027-1072 г.г.). Два этапа строительства стен подтверждены и археоло-



ვარძია. XII-XIII სს.  
Вардзиа XII-XIII вв.



# ქუვხეი


წუნდა. XII-XIII სს.  
ცუნდა. XII-XIII ვვ.



მამულებიდან განდევნეს ძველი ფეოდალური გვარების წარმომადგენლები: თორელები, თმოგველები, გობიარები, ოთარები, ხერთვისარები, კამკამისშვილები, ბულღადარისშვილები და სხვანი. ჯავახეთში დაწინაურდნენ ახალი სათავადაზნაურო ფეოდალური გვარის წარმომადგენლები: შალიკაშვილები, ამატაკისშვილები, რჩეულიშვილები, დიასამიძეები და სხვანი.

კონსტანტინეპოლის დაცემამ (1453 წ.) და ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიაში საშინელ განსაცდელში ჩააგდო მთელი სამხრეთი და დასავლეთი საქართველო, მეტადრე, სამცხე-საათაბაგო. შუა საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთი დაუდგრომლად ცდილობდა საქართველოს ამ უმნიშვნელოვანესი კუთხის

გическими материалами. На верхней части ворот крепости найдена надпись, в которой упомянута мать Баграта IV-го, **Царица Мариам**. В 1085 году турки-сельджуки под руковод-



მენეთი ახალქალაქის ციხეში. XVIII ს.  
Мечеть в Крепости Ахалкалаки. XVII в.

საყლაპვას და ამისათვის არანაირ საშუალებას არ ერიდებოდა.

მე-16 საუკუნის შუა ხანებში ამ კუთხის ხელში ჩაგდებას სპარსეთიც აქტიურად ცდილობდა. 1551 წელს სპარსელებმა აიღეს ვარძია, სასტიკად დაარბიეს და დაანგრეს მონასტერი, გაიტაცეს დიდძალი განძი და სიმდიდრე, მათ შორის ცნობილი ვარძიის ღვთისმშობლის ხატი და ოქროს კარი.

1578 წელს, ახალქალაქი თურქებმა დაიკავეს, რომელსაც მაშინ კოკოლა შალიკაშვილი განაგებდა.

XVI საუკუნის ბოლოს, მთელი სამცხე-საათაბაგო, ჯავახეთის ჩათვლით, ოსმალებმა დაიპყრეს.

ოსმალებმა დაპყრობილ საქართველოს ნაწილს „გურჯისტანის ვილაიეთი“ უწოდეს, სადაც ჯავახეთის საფაშოც შედიოდა. სამცხის მფლობელნი ოსმალებთან „ახალციხის ფაშებად“ გამოაცხადა და ეს უმშვენიერესი ქვეყანა დედა-სამშობლოს ჩამოაცილა, ახალციხის საფაშო 24 თემად ანუ სანჯაყად დაყო და თითოეულ მათგანს სათავეში მემკვიდრეობით სანჯაყბეგები ჩაუყენა.

ქვეყნის პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ექსპანსიის მიზნით დაიწყო მოსახლეობის გამაჰმადიანება, ჯერ ზედა ფენაში, ხოლო შემდეგ, ხანგრძლივი ბრძოლით, ქვედა ფენაშიც. XVII საუკუნის დასაწყისიდან დაწყებული გამაჰმადიანების ეს ინტენსიური პროცესი XVIII საუკუნეშიც გაგრძელდა და XIX საუკუნის დამდეგს დასრულდა. დამპყრობლების მოძალებამ, ცხადია ადგილობრივი მოსახლეობის მიგრაცია გამოიწვია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რის შედეგადაც სამცხე-ჯავახეთის ასობით სოფელი მოსახლეობისგან დაიცალა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრის“ შედგენისას ე.ი. 1595 წლისათვის, უკვე 297 სოფელი უმოსახლოდ იყო ქცეული.

ством **Арф-Арслана** взяли в осаду еще неоконченную крепость и несмотря на ожесточенное сопротивление местных, взяли крепость, а город превратили в пепел и стерли с лица земли.

**В то время в Ахалкалаки сидел назначенный царем распорядитель края – Эристави**, представитель грузинской феодальной фамилии - **Торели**. **В последствии, северную часть Джавахети, объявили доменом (владением царевичей)**. В начале резиденция находилась в **Дливи**, потом в **Гртила**, а в дальнейшем в **Божано** и **Аластане**. После постройки в Вардзии царского монастырского комплекса, **царская резиденция, к концу XII века, переместилась именно в Вардзию**.

**Лаша-გიორგი** (1207-1222 г.г.), как правитель джавახетского владения царевичей, упомянуто в надписях Пртенской стелы и Баралетской церкви, а также на монете – **«Царь Георгий, сын Тамары, государь Джавахов»**.

**В XIII веке Джавахети, на подобие остальной части Грузии, оказался в руках монголов.**



ბარალეთი. X-XIII სს.  
Баралети. X-XIII вв.

# ჭავჭავაძე

# ДЖАВАХЕТИ



მიუხედავად სასტიკი ზეწოლისა, ოსმალებმა მაინც ვერ შეძლეს მთელი ჯავახი მოსახლეობის გათათრება და ჯავახეთში ქართულის მთლიანად ამოძირკვა. „სულგრძელობა და სამშობლოსადმი სიყვარულის დიდი გრძობა გამოიჩინა ჯავა-

